პროლეტარებო ყველა ქვეყნის, შეერთდით!

წითელი მეომარი

1923
აგვისტო
23
ხუთშაბათი
მზე ამ. 4 ს. 28 წ.
მზე ჩავა 7 ს. 30 წ.
შესან. მოვლენათა დღიური

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი
ტფილისი სასახლის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური ფასი 1 მილ. მან.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 347 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განყოფილების ყოველ დღიური გაზეთი. ფასი 50,000 მანეთი. № 347

ღირსეული საჩუქარი ღირსეულ მებრძოლს.

ცალკე კავკასიის არმიის დღესასწაული დიდის ზეიმით ჩატარდა როგორც ამიერ-კავკასიაში ისე საბჭოთა რუსეთში. არ დარჩენილა არც ერთი მუშათა ორგანიზაცია და სამხედრო ნაწილი, რომელიც მხურვალედ არ მისალმებოდა პროლეტარულ რევოლიუციის ერთ ერთ საუკეთესო დარაჯს ცალკე კავკასიის არმიას.

თავისი თავგანწირული და გმირული ბრძოლით კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ მუშათა კლასის მიერ ოქტომბერში მოპოვებულ უფლებების დასაცავად და დაჩაგრულ ერების განთავისუფლებლად მან მიიღო უდიდესი საჩუქარი.

საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო ცაკმა ცალკე კავკასიის არმია დააჯილდოვა წითელი დროშის ორდენით და უბოძა სახელწოდება— კავკასიის წითელ დროშიანი ლაშქარი.

ცალკე კავკასიის არმიამ სავსებით დაიმსახურა ასეთი დიდი ყურადღება და პატივისცემა სოციალისტური ფედერაციის მხრივ.

ყოფილმა მეთერთმეტე არმიამ უჩვენა საუკეთესო მაგალითი მთელ მსოფლიოს, თუ რამდენად ინტერნაციონალურია და სოციალისტურია წითელი არმია, რომელიც უკანასკნელ სისხლის წვეთებსაც არ დაიშურებს არა მარტო თავის ერის მშრომელი კლასის საკეთილდღეოდ, არამედ უცხო ერების მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებისათვისაც. დღემდის არც ერთ ნაწილს წითელ-არმიელების არ ღირსებია ასეთი დიდი საჩუქარი და ეს განსაკუთრებული ყურადღება ცალკე კავკასიის არმიისადმი მოწმობს იმას, რომ ცალკე კავკასიის არმიამ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვებაში.

მთელი ამიერ კავკასიის მშრომელი ხალხი დღეს მას შეჰყურებს, როგორც თავის ღვიძლ შვილს და არაფერს არ დაიშურებს მის რიგების განსამტკიცებლად.

ცალკე კავკასიის არმიას დღეს თამამად შეუძლია ძვირფასი საჩუქრის მიღებისათვის მტკიცედ შეჰფიცოს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის უზენაეს ორგანოს, რომ მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვების ჟამს, პროლეტარიატის მებრძოლთა რაზმებს შორის ის იქნება პირველთა რიგებში.

გაუმარჯოს სახელოვან კავკასიის წითელ-დროშიან არმიას!

ვაშა და დიდება მას!

პრესა

მუშათა და გლეხთა ხელისუფლების ერთი მთავარი საკითხთაგანი არის მიწის საკითხი, რომლის მოწესრიგებას ის თავიდანვე დიდის ყურადღებით ეპყრობოდა. განმტკიცდა თუ არა საბჭოთა ხელისუფლება, მან მაშინვე გამოაცხადა მიწის ნაციონალიზაცია, ე. ი. ჩამოართვა მიწები თავად-აზნაურობას და მემამულეებს და დაურიგა მშრომელ გლეხობას. ამით მოსპო მთელი პომეშჩიკ-კულაკების ბატონობას, რომლებიც მრავალ საუკუნეების განმავლობაში ჰყვლეფდნენ მშრომელ გლეხობას.

მთავარი საქმე უკვე გაკეთებულია, მაგრამ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია.

მიწების განაწილების საქმე, როგორც უდიდესი რეფორმა ამ გარდამავალ ხანაში, იწვევს ზოგიერთ გაუგებრობებს.

გაზ. „ზარია ვასტოკა“ ეხება მიწის განაწილების საკითხს და სწერს:

„დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც საქართველოში ჩატარდა მიწის რევოლიუციონური კანონი და უკვე გადაწყვეტილია მაზრებში გაიგზავნოს სრულუფლებიანი კომისია, რომელნიც შეამოწმებენ წინა კომისიების ნამუშევარს და იმუშავებენ, რათა მოაწესრიგონ მიწის განაწილების საქმე.

არც საქართველოში და არც აზერბაიჯანში სოფლები ჯერ კიდევ კმაყოფილნი არ არიან. სოფელთა შორის მიწის განაწილება გრძელდება და სოფლების შიგნით კი, ჯერ დაწყებულიც არაა. ყოველ ფეხის გადადგმაზე, იქ ვხვდებით სხვა და სხვა უთანხმოებას, საჩივრებს და უკმაყოფილებას. იქ ცოტა მოუჭრეს, აქ ჩამოუჭრეს; ერთ ადგილას არ არის წყალი, მეორე ადგილას შეხვდათ ქვიანი მიწა, მესამე ადგილას არ არის სათიბი და სხვ. საჩივრები რამდენიც გინდა, იმდენია და მათი გარჩევა ძლიერ ძნელია, მაგრამ გარჩევა კი საჭიროა“.

შემდეგ გაზეთი ეხება ამ საძნელოს მიზეზს—ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის მოსაზღვრეთ მდებარე მიწების შესახებ დავას და ამბობს:

„მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლიან მათი გადაჭრა ჩვენი კანონები საუცხოვოა უმთავრესი საქმე გაკეთებულია. ჩვენი მომუშავეები უმთავრეს შემთხვევაში აკეთებენ მას, რაც უნდა გლეხს. მიუხედავად ამისა, სამუშაო კიდევ ბევრი რჩება“.

„ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლიან განცხრომით მოვისვენოთ. საჭიროა თვეები და წლები, რომ სოფლელებს შორის მოწესრიგდეს მიწის საკითხი. თუ აქამდე ეს საქმე მოუწესრიგებელია, ჩვენ ახლა უნდა შევქმნათ ნორმალური პირობები“.

„ამაში გამოიხატება უმთავრესი აზრი ამიერ-კავკასიაში მიწის საკითხის მოწესრიგებისა“.

შემდეგ გაზეთი ამბობს:

„ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ამ სფეროში ჩვენი ორგანოები და აპარატები. მივანდოთ ეს საქმე საუკეთესო მომუშავეებს და უმთავრესად მივაქციოთ ყურადღება სამიწადმომქმედო განყოფილებების გამგეების შემადგენლობას.„

ტელეგრამები

— ოფიციალური ცნობების თანახმად, შტრეზემანს განზრახვა აქვს ამ დღეებში კვლავ გამოვიდეს გერმანიის რეიხსტაგში ახალი დეკლარაციით.

— გერმანიაში ისევ მღელვარებაა.

— შვეიცარიის მთავრობამ დაადგინა, რკინისგზელებისათვის შემოიღონ ცხრა საათის სამუშაო დღე.

— როგორც იუწყებიან ოსმალეთის მიერ ლოზანის ხელშეკრულების რატიფიკაცია ერთ კვირაში მოხდება.

— ბაღდადიდან მიღებული ცნობებით სამხრეთ ოსმალეთის ქალაქ ბასსორაში თავი იჩინა შავმა ჟამმა, რომელმაც უკვე იმსხვერპლა 76 კაცი.

გერმანიის ამბები.

რეიხს კანცლერის სასახლეზე თავდასხმა.

რეიხს კანცლერის სასახლეზე ქურდების თავდასხმის გამო, ბერლინში გავრცელდა ხმები შტრეზემანზე თავდასხმის შესახებ. რეიხსკანცლერს მიჩენილი ჰყავს გაძლიერებული დამცველი რაზმი.

უკანასკნელი ცდა.

დანიურ გაზეთის „პოლიტიკენს“ თანამშრომელთან საუბრის დროს გერმანიის რეიხსტაგის წარმომადგენელმა ლებემ განაცხადა, რომ არის შტრეზემანის კაბინეტის მოწინააღმდეგე, რომელიც არის უკანასკნელი ცდა სოციალ-დემოკრატების ბურჟუაზიულ პარტიებთან თანამშრომლობისა. ლებეს აზრით ახლო მომავალში გერმანიაში იფეთქებს რევოლიუცია, რომელიც გამოიწვევს შემადგენელ ნაწილებათ დაყოფას.

მდგომარეობა მწვავდება.

თუმცა შტრეზემანის კაბინეტი რაც არსებობს არის რაოდენიმე ერთი კვირა მაგრამ მთავრობის პრესა უკვე ლაშქრობს სასტიკი პროტესტით ზოგიერთ საწარმოო წრეების წინააღმდეგ, რომელნი ეწინააღმდეგებიან ახალი მთავრობის მიერ მხარის ეკონომიურ კამპანიისათვის მიღებულ ზომებს.

არ ფიქრობენ ხვალინდელ დღეზე.

მძიმე ინდუსტრია, რომელიც ყოველთვის მოწინააღმდეგეა შტრეზემანის, როგორც მსუბუქი წარმოების წარმომადგენლის, ახალი ბრძოლის ქაღალდის ფულების გამოშვების შემცირების პოლიტიკასთან.

ფასების ზრდას ბოლო არ უჩანს.

ნახშირის მწარმოებლების მიერ ფასების მეტის მეტი აწევა აუცილებლად იწვევს ყველა საქონელზე ფასების აწევას და ფულის ნიშნების რიცხვის გადიდებას. ამას სთვლიან საბოტაჟათ წინააღმდეგ მთავრობის განზრახვებისა ძოხდინოს მარკის კურსის სტაბილიზაცია.

მწარმოებლების მადა.

საგულისხმოა ბერლინის მაგისტრატის დეპეშა, რომელიც მიმართულია სამინისტრობისადმი, რომელშიაც სთხოვს მათ ხელი შეუშალონ გამოცხადებულ ნახშირზე ფასების 63 პროც. მაგიერ 200 პრ. მომატების. თუ ეს მომატება გატარდა—ამბობს მაგისტრატი—მაშინ მცხოვრები ვერ შესძლებს გადაიხადოს კომუნალური გადასახადები, ვინაიდან სასტიკ ფასებით იძულებულნი იქნებიან.

სხდომებსა და კომისიებში ეძებენ ხსნას.

მინისტრთა კაბინეტის სხდომას რომელიც უნდა შემდგარიყო 20 აგვისტოს ებერტის თავმჯდომარეობით, ეძლევა განსაკუთრებითი მნიშვნელობა, ვინაიდან მოელიან, რომ ამ სხდომაზე იქნება გამოტანილი გადაწყვეტილება ეკონომიკისა და ფინანსების პოლიტიკის საკითხში.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

კალმიკები გამოფენაზე.

მოსკოვში, სრულიად საკავშირო გამოფენაზე ჩამოვიდა კალმიკების პირველი ჯგუფი, რომელიც 30 კაცისაგან შესდგება.

სრულიად საკავშირო გამოფენა— რუსეთის ხალხის სიძლიერის მაჩვენებელია.

სრულიად საკავშირო გამოფენას დაესწრნენ—მთელი დიპლომატიური კორპუსი და ამ ჟამად მოსკოვში მყოფი უცხო სტუმრები—სენატორი დემონზი, ჩინეთის დელეგაცია, ინგლისელ მრეწველთა ჯგუფი ბალდვინის მეთაურობით, ამერიკის კონგრესის წევრი ფოში და სხვები.

ყველა ესინი გამოფენაში ჰხედავენ რუსეთის ხალხის სიძლიერეს, რომელმაც მოკლე დროის განმავლობაში შესძლო ასეთი დიდი წარმოების შექმნა.

გამოფენაში მრავალ უცხო სახელმწიფოების მონაწილეობა, უცხო სტუმრების აზრით ხელს შეუწყობს განახლებულ რუსეთის ეკონომიურ დამოკიდებულებათა განმტკიცებას დასავლეთთან.

შორეულ აღმოსავლეთში

ჩინეთი.

ახალი რადიო-სადგური.

„ბერლინერ ტაგებლატი“ იუწყება, რომ პეკინის მთავრობამ ააგო კაშგარში (ჩინეთის თურქესტანის დედა-ქალაქია) მძლავრი რადიო სადგური, რომელიც იღებს დეპეშებს ნაუენისა და სხვა სადგურებისაგან. სადგურის აშენება დაკავშირებული იყო წარმოუდგენელ ტეხნიკურ დაბრკოლებებთან. სადგ. მოწყობილობა გადმოზიდული იყო უდაბნო ადგილებით 1.200 აქლემის საშუალებით.

უცხოეთის სახელმწიფოთა ნოტის გამოძახილი.

ჩინეთის საზოგადოებრივი აზრი გაფიცებით იხილავს საზღვარ-გარეთელ სახელმწიფოების ნოტას. ყოველ მხრიდან მიდის საპროტესტო დეპეშები ჩინეთის შინაურ საქმეებში იმპერიალისტების ჩარევის წინააღმდეგ პრესას დაუშვებლად მიაჩნია, რომ ჩინეთის რკინის გზების დაცვა მიენდოს უცხოელებს, რაც დაარღვევდა ჩინეთის სუვერენიტეტს. საერთო პოლიტიკური მდგომარეობა პეკინში გამოურკვეველია.

დამსახურებული ჯილდო.

კავკასიის ცალკე არმიის დაჯილდოება წითელი დროშის

ორდენით.

კავკასიის ცალკე არმიის სამხედრო რევოლიუციონერმა საბჭომ რესპუბლიკის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოსაგან მიიღო მოსკოვიდან 20 აგვისტოს თარიღით შემდეგი დეპეშა:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის 17 აგვისტოს დადგენილებით, კავკასიის ცალკე არმია დაჯილდოებულია წითელდროშიანი არმიის სახელწოდებით. ვულოცავ არმიას უდიდეს ჯილდოს“.

რესპუბლიკის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე: **სკლიანსკი.**

ახლო აღმოსავლეთი.

ლოზანის ხელშეკრულება და ოსმალეთი.

ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა ყრილობამ მოისმინა მოხსენება გარეშე საქმეთა კომისიის და ისმეტფაშისა ლოზანის ხელშეკრულების შესახებ. ტანის „აზრით კამათს მოხსენების“ შესახებ არ დასჭირდება ბევრი სხდომები. უთუოდ ხელშეკრულების რატიფიკაცია მოხდება ერთი კვირის განმავლობაში.

გაფიცვები ათინაში და მუშათა ორგანიზაციების გარეკა.

ათინაში გამოცხადებულია მუშათა საყოველთაო გაფიცვა. საბერძნეთის მთავრობამ დაარსა სამხედრო სასამართლო და გარეკა ყველა მუშათა ორგანიზაციები.

სხვა და სხვა ამბები

პოლონეთი.

პოლონეთი და ერთა ლიგა.

„გუდვუსტად ბლადეტ“-ის ცნობით, ბალტიის უკანასკნელ ეკონომიურ კონფერენციაზე დადებულია გამოუქვეყნებელი ხელშეკრულება ბალტიის სახელმწიფოების მიერ, პოლონეთის დელეგატისათვის მხარის დაჭერის შესახებ ერთა ლიგის საბჭოს არჩევნების დროს. გაზეთების სიტყვით, ეს შეთანხმება კვლავ აკავშირებს ფინეთს პოლონეთთან. რაც იწვევს მღელვარებას ფინეთის საზოგადოებრივ წრეებში.

მემელი საერთაშორისო ნავთსადგურია.

„გაზეტა ვარშავსკაიას“ სიტყვით, ელჩთა საბჭოს მიერ შემუშავებული დებულება მემელის შესახებ, მემელს სცნობს საერთაშორისო ნავთსადგურად, რომელსაც მმართველობას გაუწევს საბჭო, რომელშიაც შევლენ: პოლონელი, ლიტველი და მემელელი. პოლონეთს ეძლევა კონცესია 99 წლით. ნავთსადგურის ნაწილის გამოსაყენებლად თავის სამეურნეო საჭიროებისათვის. პოლონეთს აგრეთვე ეძლევა თავისუფალი ტრანზიტის უფლება ნემანზე და ლიტვის რკინის გზაზე.

პოლონეთი ინგლისის პროტექტორატის დროს.

მტკიცდება ცნობები იმის შესახებ, რომ პოლონეთის მთავრობას განზრახვა აქვს მიიწვიოს პოლონეთში ინგლისის საფინანსო მრჩეველი, რომელიც კონტროლს გაუწევს მთავრობის ფინანსიურ ღონისძიებებს. მოწვევის ინიციატივა ეკუთვნის სიკორსკის მთავრობას, რომელიც ეწეოდა მოლაპარაკებას ამის შესახებ ინგლისელ იუნგთან.

დანია.

„მხიარული“ კონფერენცია.

კოპენჰაგენში გახსნილი პარლამენტების კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს 30 30 ერი, განუწყვეტელ დღესასწაულებში და ბანკეტებში მიმდინარეობს. შვეციის „სოციალ დემოკრატიც კი დასცინის კონფერენციას, რომელსაც არ შეუძლია, როგორც ჰგავს, არც ერთი სერიოზული საკითხის გადაწყვეტა. რურის ოკუპაციის საკითხის განხილვის დროს საფრანგეთის სენატორი მარალენი არწმუნებდა დამსწრეებს, რომ საფრანგეთი ყველაზე უფრო მშვიდობიანობის მოყვარული ქვეყანაა. განიარაღების საკითხის შესახებ მიღებულ იქნა ინგლისის გენერალ სპირის წინადადება კომისიის დაარსების შესახებ ევროპის მდგომარეობის შესასწავლად.

საფრანგეთი.

მალვის საპატივსაცემო მანიფესტაცია.

შესდგა საფრანგეთის ყოფილ მინისტრის მალვის საპატივსაცემო მანიფესტაცია, რომელიც გაძევებული იყო საფრანგეთიდან იმპერიალისტურ ომის დროს. მონაწილეობას ღებულობდა რამოდენიმე ათასი კაცი. მალვიმ განაცხადა, რომ ის დაამტკიცებს მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებათა სიყალბეს. მემარცხენე პრესა ოვაციებით შეხვდა მალვის, მემარჯვენე პრესა კი გააფთრებით ებრძვის მას.

საბერძნეთი.

მდგომარეობა სერიოზულია.

იტალიის ცნობების მიხედვით, საბერძნეთში მოსალოდნელია რევოლიუციონურ პარტიის აჯანყება და სამხედრო დიქტატურის შექმნა პლასტირასის მეთაურობით. საბერძნეთის მთავრობის წრეები კი აცხადებენ, რომ რევოლიუციონურმა პარტიამ თავისი მოღვაწეობა დაამთავრა ლოზანის საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერით.

ორი პარტიის ბრძოლა.

საბერძნეთში მომავალ საარჩევნო კამპანიის დროს უმთავრესად იბრძოლებს ორი პარტია.

პირველის სათავეში სდგას ყოფილი პრემიერი ზაიმისი, რომელიც სცდილობს რევოლიუციონური კომიტეტის დახმარებით შექმნას კოალიციონური მთავრობა, მეორე პარტიის სათავეში სდგას ლეგიტიმისტების ბელადი—გენერალი მეტაქსასი, რომელსაც მხარს უჭერს იტალია.

საბერძნეთის მეფის ცნობა.

მტკიცდება ცნობა იმის შესახებ, რომ საფრანგეთის მთავრობას განზრახული აქვს იცნოს საბერძნეთის მეფე გიორგი. ცნობა მოხდება საფრანგეთის წარმომადგენლის მიერ ათინაში რწმუნების სიგელის გადაცემით. ამ აქტიდან საფრანგეთის მთავრობა დღემდე თავს იჭერდა. წინააღმდეგ პირველი ცნობისა, რწმუნების სიგელის გადაცემას არ აქვს კავშირი შინაურ პოლიტიკის საკითხებთან.

ლიტვა.

მემელის ოლქის გადაცემა ლიტვისათვის.

ლიტვის მთავრობამ მიიღო კონვენციის პროექტი მემელის ოლქის ლიტვისათვის გადაცემის შესახებ, რომელსაც თან ახლავს ელჩთა კონფერენციის წერილი, რომელშიაც ოლქის გადაცემის აუცილებელ პირობად წამოყენებულია ლიტვის მიერ კონვენციაზე შეუცვლელად ხელის მოწერა. ამის გამო ლიტვის ოფიციოზი სწერს: „ლიტვას არ შეუძლია ხელის მოწერა პროექტზე სადაო საკითხების ხელახლად განუხილველად, თუნდაც რომ ეს გაამწვავებდეს ურთიერთობას ანტანტასთან, რომელმაც მემელი გადაქცია პოლიტიკური სპეკულიაციის საგნად.

ბელგია.

სწორ გზას დაადგნენ.

ბელგიის რეფორმისტების ოპოზიციის მიუხედავად, ბრიუსელის პროფესიონალურ ორგანიზაციათა კავშირმა დაადგინა ორგანიზაციის წევრებად მიიღოს აგრეთვე ის პირებიც, რომლებიც სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არ ეკუთვნიან. ამრიგათ კომუნისტები შესძლებენ გავლენა მოიპოვონ ბრიუსელის პროფკავშირთა საბჭოში.

რუმინეთი.

ამერიკის კონცესიები რუმინეთში.

რუმინეთის მთავრობა მორგანისა და როკფელერის წარმომადგენლებს უფლებას ძლევს რუმინეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავებისას კონცესიების სახით.

დენთი და მისი დამზადება.

ზოგიერთი ამფეთქი ნივთიერებანი დაწვის დროს თანდათანობით ანვითარებენ ძალას, ე. ი. გამოიყოფენ გაზებს და სითბოს არა მთელი თავის მასსით, არამედ შრეების მიხედვით თანაბრივად, რის გამო გამოსადეგარია გასროლის საწარმოებლად. ყველა იმ ამფეთქ ნივთიერებას, რომელსაც ამ გვარი თვისება აქვს, ჰქვია **დენთი.**

საერთო აზრია გაბატონებული, რომ დენთი პირველად ჩინელებმა გამოიგონესო. წარსულ ისტორიაში ვხდებით საბერძნეთ-სპარსეთის ომის დროს ბერძნების მიერ საბრძოლ საშუალებას ე. წოდებულ „ბერძენთა ცეცხლს“, რომელიც ბერძნებმა იხმარეს სპარსელების გემების დასაწველად და რომლის აღწერილი თვისებანი მოგვაგონებენ დენთს. ევროპაში პირველად მე XIV-ტე საუკუნეში შემოიღეს, მხოლოთ ვის წყალობით იყო შემოღებული, აქამდის გამორკვეული არაა. დენთის გასროლის თვისება იმავე მე-XIV საუკუნეში იქმნა ომში მოხმარებული.

უწინ იცოდენ მხოლოდ ეგრედ წოდებული თოფის წამალი გოგირდ ნახშირ-გვარჯილის ნარევი, ანთების დროს ეს ნარევი გაზებათ იქცევა და ერთ და იმავე დროს წარმოიშვება დაწვის მაგარი პროდუქტები, რომელიც აჭუჭყიანებენ სასროლ იარაღის ლულს და აჩენენ კვამლს. უკანასკნელ ხანში სასროლად ხმარობენ **ნიტროგლიცერინს, პიროქსილინს** და სხვას, რომელნიც მთლიანად გაზებათ იქცევიან დაწვის დროს, ამასთან არც კვამლი ჩნდება და სასროლ იარაღის ლულა არ ჭუჭყიანდება. ეს უკანასკნელი ნივთიერებანი წარმოადგენენ უკვამლო დენთებს.

თავდაპირველად გოგირდ-ნახშირ-გვარჯილის დენთს ამზადებდენ წვრილი ფხვნილი გოგირდის, ნახშირის და გვარჯილის ერთმანეთში არევით. შემდეგში ამ წვრილი ფხვნილის მაგიერ მკვრივ მარცვლებათ ამზადებდენ, დაწვის სისწრაფის მოსაწესრიგებლად. დენთის შემადგენელ ნაწილებისაგან გვარჯილა და გოგირდი ისეთ ნივთიერებას წარმოადგენენ, რომელთა გაწმენდა სხვა და სხვა შერეულ ნივთიერებისაგან ადვილია; გვარჯილა არ უნდა შეიცავდეს ქლორის ლითონებს; გოგირდი გახურების დროს ერთ მეათედ პროცენტზედ მეტ ფერფლს არ უნდა იძლეოდეს. მხოლოდ ნახშირის თვისება და შედგენილება ძალიან იცვლება დამზადების პირობების მიხედვით. ის უნდა ადვილად ენთებოდეს, ჩქარა იწოდეს და ფერფლს არ უნდა სტოვებდეს. ამ გვარი თვისებისა, მხოლოთ ზოგიერთ ჯიშის ხეებიდან, 500 გრადუსის ტემპერატურაზედ დამწვარი ნახშირია. ჩვეულებრივად, დენთის ქარხნებში ნახშირის გამოსაწველად ხმარობენ ნაკლებად მკვრივ ჯიშებს; თხემლას, ტირიფს, ალვისხეს, თხილს, ვერხს, ჯღარდალას, წიფელს და სხვას. დასაწვავად 2—10 წლის ხნოვანობის ხეებს ხმარობენ, რადგან ძალიან ახალგაზრდა ხეები ბევრ ნაცარს იტოვებენ, და ბებერ ხეებში კი გაზევებული ნივთიერება ერთგვარი არაა. დენთის დასამზადებლად ბზე და ჩალაც შეიძლება მოიხმარონ. ჩამოთვლილი მასალისაგან ამზადებენ სამ ხარისხის ნახშირს: შავს, რუხს და შოკოლადის ფერისას. შავი ნახშირი მიიღება 350—400 გრადუსზედ გამოწვით, ნახშირის ნატეხებს მოლურჯო ფერი გადაჰკრავს, წვრილად ადვილად იფხვნება, იწვის უალოთ და კალიუმის ტუტეში არ იხსნება. რუხი ნახშირი გამოიწვება 280—320 გრადუსზედ:იმას გადაჰკრავს მოწითლო ფერი, შეხების დროს მომსუქნოა, ძნელად იფხვნება, იწვის პატარა ალით და ნაწილობრივ კალიუმის ტუტეში იხსნება. შოკოლადის ფერის ნახშირი მიიღება 150—120 გრადუსზედ, დაკაკუნებისას ყრუ ხმა აქვს, ძნელად იფხვნება, დიდი ალით იწვის და იხსნება კალიუმის ტუტეში. რუსეთში ამ სამ ხარისხს ნახშირს უმთავრესათ ამზადებენ თხემლიდან და ჯღარდალისაგან. ამ ჯიშის ხეებს წინასწარ აცლიან ქერქს და ზვინებათ ინახავენ 2—3 წელიწადს. ერთ წელიწადს ცის ქვეშ უყრიათ ხის გამოსვლისათვის, დანარჩენ დროს კი ინახავენ სარაიებში. გამოსულ შეშას ხერხავენ და აპობენ წვრილ ნაჭრებათ (სიგრძით 35-40 ცენტიმეტრი და 2,5--5 ცტ. სისხოსი—შავ და რუხ ნახშირისათვის, 6-12 ცტ. სიგრძით და 1,2-2,5 ცტ. სისხოსი—შოკოლადის ფერის ნახშირისათვის.) გამოსაწველ აპარატებში გამოსაწვავი შეშა 15 პროცენტ სინესტეს შეცავს ხოლმე ჩვეულებრივად. ამ გვარად დამზადებულ მასალის 100 ნაწილიდან მიიღება ნახშირი: შავი 25-30 ნაწილი, რუხი 35-40 ნაწილი, შოკოლადის ფერი—68-70 ნაწილი. თვით ნახშირის გამოწვას ამ ჟამად, ჩვეულებრივად, აწარმოებენ მშრალი გამოხდით თუჯის ან რკინის რეტორტებში, რომელიც უძრავი და მოძრავებია. პირველი წარმოადგენს ღუმელზედ მდებარე ცილინდრს, ყოველი ცილინდრის ძირი ყრუთაა გაკეთებული, აქვს 4 ხვრელი, რომლიდგანაც ერთი შეერთებულია სპილენძის მილთან, რაშიც გამოდის მშრალი გამოხდის ამქროლავი პროდუქტები, დანარჩენ სამ ხვრელში კი, რკინის მილებიდან შეიყრება გამოსაწვევი ხის სასინჯი ჯოხები. ცილინდრის მეორე ძირი მოძრავია. ცილინდრი, შეშის გამოტენის შემდეგ, დაბეჯითებით გამოიგლისება. შავი ნახშირის გამოსწვავად საჭიროა 7 საათი, რუხისა—9 საათი. გამოწვის ბოლო ხანებში იღებენ სასინჯ ჯოხებს, რათა წარმოდგენა იქონიონ განახშირიანების მენაკზედ და მის თანაბრიარობაზედ. ამას გარდა, გამომდინარე ორთქლის და ჰაზების ალის ფერით ხელმძღვანელობენ: გამოწვას ამთავრებენ მაშინ, როცა ალს მბრწყინვალე თეთრი ფერი აქვს—შავი ნახშირისათვის და მტრედის ფერი, მოწითლო ნაპერწკლები, რუხი ნახშირისათვის. გამოღების წინ 3-4 საათი უნდა დააცადონ გასაციებლად. მოძრავ ცილინდრში ნახშირის გამოწვა უფრო უკეთესია, ვინაიდან სითბო თანაბრივად ნაწილდება.

შოკოლადის ფერის ნახშირის გამოსაწვავად საჭიროა თანაბრივი და ნელი გახურება, რისთვისაც ღეროზედ მბრუნავი ცილინდრები იხმარება. გამოწვა 16 საათს გრძელდება. ახლად გამზადებულ ნახშირს შეძლებისამებრ ჩქარა გადაიტანენ საქრობელაში, რომელიც წარმოადგენს რკინის დიდ ცილინდრებს, მკვრივად დახურულ სახურებით. ცილინდრებში ნახშირის გასაციებლად სამ დღეზე ნაკლებ არა სტოვებენ. გამოუსაცევ ნახშირის ნატეხებს გადაარჩევენ რა ხელით, საქრობელში კიდევ სტოვებენ 8-10 დღეს. ეს იმიტომ იქმნება, რომ თვით ანთება აცილებული იყოს, რაც შეიძლება მოხდეს ნახშირის დიდ ხროვას შენახვის დროს, ნამეტნავად როცა წვრილადაა დაფხვნილი. ნახშირის შედგენილების ერთგვარიანობისათვის ურევენ ერთდროულად სამ საქრობელას, ამასთან მხედველობაში უნდა ჰქონოთ ნახშირის შემდეგი თვისებანი: 1) შავ ნახშირში ჩვეულებრივ 80 85 პრ. ნახშირბადი, რუხში 70-75 პროცენტი და შოკოლადისაში—52-50 პროცენტი; დანარჩენი ნაწილები წარმოადგენენ ფერფლს (1,0 დან 0,1 პროცენტამდე) და ჟანგბადს წყალბადით; 2) წყლის შთვისების უნარი რუხს ნაკლებად აქვს, ვიდრე შოკოლადის და მეტი ვიდრე შავს, 3) რუხი ნახშირი ადვილად ენთება და უფრო ჩქარა იწვის. ვიდრე შავი.

სხვა და სხვა სახელმწიფოში დენთის შემადგენელ ნივთიერებას სხვა და სხვა ნაწილებით იღებენ. სამხედრო ხარისხების დენთებისათვის მიღებულია შემდეგი შედგენილება:

	რუს.	საფრ.	გერმ.	ინგლ.
გვარჯილა	75პ.	74პ.	74პ.	55პ.
გოგირდი	10პ.	10,5პ.	10პ.	10პ.
ნახშ.(შავი)	15პ.	15,5პ.	16პ.	15პ.

(შემდეგი იქნება)

გ. ჩარნაბიშვილი.

ჩვენს წითელ ჯარში

ვაშა ჩვენს შეფს!..

ერთი თვე შესრულდა, რაც უნცროს მეთაურთა მოსამზადებელ სკოლის შეფობა მიიღო „ც. კავშირმა“ და ამ მოკლე ხნის განმავლობაში მან შესძლო თავისი შვილობილისთვის იმდენი ყურადღების მიქცევა, რამდენიც ზოგიერთი ნაწილების შეფებს ერთი წლის განმავლობაში არ გაუკეთებიათ. დანიშვნის მეორე დღესვე გვესტუმრა ამხ. ტოროშელიძე სხვა პასუხისმგებელ ამხანაგებთან ერთად და გაეცნენ ჩვენი სკოლის ცხოვრებას: რა აკლია და რით არის სკოლა უზრუნველყოფილი. როდესაც დაინახეს, რომ საბნები, ბალიშები და სხვა საგნები არ იყო საკმარისი, მეორე მესამე დღესვე მივიღეთ აღნიშნული საჭირო საგნები. დღეს მთელი სკოლის კურსანტებმა შეიგნო თუ როგორი მზრუნველი და გულშემატკივარი ყოფილა ნაწილისათვის შეფი და განსაკუთრებით კი ჩვენი მამობილი „ცეკავშირი“. მთელი სკოლის შემადგენლობა, როგორც კურსანტები, ისე უფ-პოლიტ-შემადგენლობა, აღფრთოვანებული, გულის სიღრმიდან ამოხეთქილ მადლობას უძღვნის თავის შეფს „ცეკავშირს“ და იმედს გამოსთქვამს რომ მომავალშიაც არ მოაკლდება მათი ნამდვილი მამობრივი მზრუნველობა, რომელსაც 6 თვის განმავლობაში მოკლებულნი ვიყავით. უნცროს მეთაურთა მოსამზადებელი სკოლა კი, რომელიც ღირსეული მემკვიდრეა არის ყოფილი სამოსწავლო ძირითადი ათსეულის, რომელმაც დაანახვა თავისი ერთგულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი ყველას, მტერსაც და მოყვარესაც, როგორც ხევსურეთისა და გურიის ექსპედიციების დროს, თუ საჭიროება მოითხოვს მომავალშიდაც შესძლებს სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს გულში მშრომელი ხალხის მტრებს!

სალამი და გამარჯვება
ამხ. ტოროშელიძეს!..

ვაშა ჩვენს შეფს!..

ამხანაგობის მონდობილობით:
კ. ასათიანი.

ლიტერატურული გასამართლება.

12 აგვისტოს, 1923 წ. მეორე ლეგიონის სალიტერატურო წრის მიერ იქმნა მოწყობილი გასამართლება სპირიდონ მცირიშვილისა—ე. ნინოშვილის მოთხრობიდან.

გასამართლების დაწყებამდე სალიტერატურო წრის ხელმძღვანელმა ამხ. ი. კუჭუხიძემ გააცნო წითელ არმიელებს ე. ნინოშვილის მოკლე ბიოგრაფია.

ბრალმდებლებათ გამოვიდნენ ამხ. ამხ.—ტყემალაძე და ქადუა. დამცველებად—ამხ. კუჭუხიძე და კალანდაძე.

დიდი კამათის შემდეგ, სპირიდონ მცირიშვილი გამართლებულ იქნა, რასაც დამსწრე წითელ არმიელები ტაშის ცემით შეხვდნენ.

ც. ცერონი.

საარტილერიო პარკი.

11 აგვისტოს შესდგა ქართულ დივიზიის საარტილერიო პარკის პირად შემადგენლობათა კრება. კრებას თამჯდომარეობდა ამხ. ჯაფარიძე და მდივნობდა ამხ. ლანდუროვი. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები:

1, საჰაერო ფლოტის მნიშვნელობაზე მოხსენება

2. მოხსენება გაზეთ „წითელ არმიელის“ დახმარების შესახებ

3. პასუხის მგებელი კორესპონდენტის არჩევა.

პირველი კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. სამხკომი ჭანიშვილი. ამხ. ჭანიშვილმა აღნიშნა თუ რა მნიშვნელობა აქვს საერთო მუშათა და გლეხთა მთავრობისათვის საჰაერო ფლოტს, რამაც გამოიწვია წითელ არმიელებში დიდი ოვაციები მომხსენებლისადმი. მოხსენების ბოლოს კრებამ უსურვა გამარჯვება საბჭოთა მთავრობას, საჰაერო ფლოტის გაძლიერებაში, რომელიც არის ერთი მთავარი იარაღთაგანი საბჭოთა ხელის უფლების გამტკიცებისათვის. მეორე კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს ისევ ამხ. ვასო ჭანიშვილი. აქ მან დაახასიათა თუ რა მნიშვნელობა აქვს „წითელ არმიელს“, წითელი არმიელებისთვის და რა ზიანი შეუძლია მიაყენოს წითელ არმიელებს გაზეთ „წითელ არმიელის“ დაკეტვამ. ამ კითხვის გამო შემოტანილი იქმნა წითელ არმიელებისაგან შემდეგი წინადადება: ვინაიდან ღრმადა გვწამს, რომ „წითელ არმიელის“ დაკეტვა ჩვენს სულიერად დაგვცემს, რადგან ეს გაზეთი ჩვენ გვამაღლებს სულით ზნეობრივად და შიგ ვხედავთ ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებას, ამისათვის მის არსებობის შესანარჩუნებლად ვეხმარებით ყოველ თვეში ხუთი დღის ჯამაგირის გადადებით“ ამ წინადადებამ დიდი სიხარული გამოიწვია და წინადადებაც ერთხმად იქნებოდა მიღებული, რომ ამხ. ჭანიშვილს არ შემოეტანა დარიგებით წინადადება. წინადადება იყო შემდეგი სახის.

გადაიხადოს გაზეთ „წითელ არმიელის სასარგებლოდ.

პარკის პირად შემადგენლობამ შემდეგ ნაირად: ის წითელ არმიელები რომლებიც ღებულობენ ჯამაგირს 2 და 1 ლი ხარისხით გადაიხადონ—50000 მან. ისინი ვინც ღებულობენ 3 მე ხარისხით მიღებული. 3 მე კითხვა განმარტა ამხ. ჯაფარიძემ და კრების მიერ არჩეულ იქნა პასუხის მგებელ სახკორად ამხ ბარნაბ ჩხიკვიშვილი.

ამის შემდეგ დღის წესრიგის ამოწურვის გამო კრება დაიხურა და წითელ არმიელები დაიშალნენ ნასიამოვნები.

სამხკორი ჩხიკვიშვილი.

სამაგალითო მნე.

დიდ გაჭირვებას განიცდიდა მსუბუქ საარტილერიო დივიზიონის მეორე ბატარეა ამ სამი თვის წინად. მისი სამნეო ნაწილი ვერ იდგა ჯეროვან ნიადაგზე. მაგრამ დაინიშნა თუ არა მნეთ ამხ. არჩვაძე, ბატარეის მდგომარეობა დღითი დღე უმჯობესდებოდა და დღეს უნდა ითქვას, რომ ხსენებული ნაწილის სამნეო განყოფილება თავის სიმაღლეზე სდგას. ამხ. არჩვაძე ისე ზრუნავს წითელ არმიელთა საჭიროებაზე, როგორც მამა თავის შვილებზე. არიან ნაწილები, რომლებიც შემონატრიან ჩვენ ბატარეის ბედს და, კიდევაც ამ მიზეზით შემოუერთეს კმაყოფაზე მას მეორე ქვეითა სამთო ლეგიონის ბატარეა.

სადილი და ვახშამი მზადდება კარგი თვისების, რასაც ხშირად აღნიშნავენ ჩვენი წითელ არმიელები და დიდის მადლობით იხსენიებენ მნეს.

მართლაც მადლობის ღირსია ასეთი თანამშრომელი და ვუსურვებ ჩვენს ბატარეას დიდხანს შერჩენოდეს ასეთი ენერგიული, მზრუნველი და სპეტაკი ადამიანი.

ნიკო გორელი.

ცალკე მესანგრე ასეულის დახმარება „წითელ არმიელის“-სადმი.

ა. წ. აგვისტოს 9, შესდგა ცალკე მესანგრე ასეულის საერთო კრება. კრებას დაესწრო მთელი ასეული წითელ-არმიელები უფ. და პოლიტ-შემადგენლობა. თავმჯდომარეობდა ამხ. ჯავახოვი და მდივნობდა ამხ. ნუცუბიძე.

დღის წესრიგში იყო ერთი მთავარი საკითხი გაზეთ „წითელ არმიელის“ დახმარების შესახებ. ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე მოხსენება გააკეთა სამხედრო კომისარმა ამხ. ჯავახოვმა, რომელმაც ნათლად და გარკვევით დაუსურათა კრებას გაზეთ „წითელ არმიელის“ მნიშვნელობა და მისი მატერიალური მდგომარეობა. მოისმინა რა კრებამ მოხსენება და გაითვალისწინა რა მდგომარეობა გაზ. „წითელ არმიელის“, დაადგინა შემდეგი: გაზ. „წითელ არმიელის“ სასარგებლოთ იქნა გადადებული წითელ არმიელებიდან ორი თვის განმავლობაში ორასი ათასი მანეთი. უფ. და პოლიტ-შემადგენლობიდან ორი თვის განმავლობაში ორი დღის ჯამაგირი. აგრეთვე იქნა გადადებული როგორც წითელ არმიელებიდან ისე უფ. და პოლიტშემადგენლობიდან ერთი კვირის ზეთი რომელიც გვრჩება ეკონომიიდან. იქნეს მოწყობილი და გამართოს ფასიანი საღამო [illegible] სოფელ ქვიშხეთში.

მეწიეთელი

პატარა ფელეტონი

ბეწვის ხიდი.

შტაბის კანცელიარიაში

— საშა! მე და გოჩმანა ცხენოსან ლეგიონში მეტოქებათ დავინიშნეს.. ესე იგი ის ნასწავლ მეტოქით დამნიშნე და გოჩმანა კი ნალბანდით.. გოჩმას, კიდევ შეიძლება იქვს, ცხენები დეუჭედავს... ამას ასწავლიდნენ სამხედრო სასწავლებელში... მაგრამ მე, სწორე მოგახსენო, ცხენის კუდს ჩოჩიქი აგან ვერ გავარჩევ. ესე ეუბნება ბეშტია ქაღალდების ხროვაში ჩამალულს კანცელარიის უფროსს საშას, რომლის მარცხნივ ქაღალდისავით ხროვიდან, იალბუზის მწვერვალივით, მცენარეს მოკლებული, საშას თანაშემწის თავი, ლაპლაპი გაჰქონდა საშას მარჯვნივ იდგა ახალგაზრდა ყმაწვილი საწერ მანქანის მაგიდის გვერდზედ და მ მანქანე ქალს დაჰმღეროდა გოლუსტოვის მიერ დაწერილ რომანსს. მემანქანე ქალი [illegible] უნდერვუდზედ აკომპანიმენტს უკრავდა.

— ჩუ, გოჩმან! რა დიდებული მუსიკაა!!. შენ არაფერი გესმის... ყურის მაგივრად—ქვაბი გაბია... მერე სიტყვები.. სიტყვები... რა დამწვრისაა! ყური დაუგდე...

— ამასთან ერთად გეგზავნებათ რა ესე მიმოწერა, მოსთქვავდა თმიანი ახალგაზდა. მოგიწერთ სისრულეში მოიყვანოთ № 9 დასტურლამის მეოთხე მუხლი.

— გოჩმან! მე აღარ შემიძლია! მითხრა ცრემლ მორეულმა ბეშტიამ; მან დააპირა ხელსახოცის ამოღება და რადგან იგი ჯიბეში არ აღმოაჩნდა, მოავლო ხელი გადამწერ ქალის უშველებელ ქისას და მოიწმინდა ცრემლები.

— ძალიან გრძნობიერი ყოფილხართ მოქალაქე ბეშტი. მიმართა საშამ გულ-აჩუყებულ ბეშტიას.

— მე, ჩემო საშა, ძალიან მიყვარს მუსიკა. როცა გავიგებ ხოლმე მატარებლის ღრიალს, ავტომობილთა გუგუნს, ტრამვაის გრიალს და ქარხნების საყვირის ღმუილს აუწერელ სიამოვნებას განვიცდი ხოლმე... და რაც შეეხება ამ დიდებულ ზეციურ ჰანგებს, ასე ჯადოსნურად რომ ამეტყველებს უსულო მანქანას პატივცემული ელენა... მე... მე აქ ყველაფერი მავიწყდება და პირდაპირ მოჯადოებული დავრჩები და არას დროსაც არ დამავიწყდება, თუ მე და გოჩმანს ელენა საბუთებს მალე დაგვიბეჭდავს... მე მეშინია არ დაგვიგვიანდეს, თორემ ჩვენი რედაქტორი ლევანი ვანიჩკას ვილაში გაგვაგზავნის, აი, სასახლის პირდაპირ რომ თამბაქოები სთესია შუაში სოსოს სიმაღლე ნაძვის ხე რომაა ჩარგული აი, იქ!

— „თქვენ საოჯახო ულუფის მისაღებათ უნდა მოწმობა წარმოადგინოთ“. დაგვარიგა საშამ.

— მოწმობაა? აი, მიირთვი, ამოიღო ბეშტიამ რაღაცა ტალახში მოსვრილი ქაღალდი და საშას გადასცა.

— მიეცა ესე მოწმობა მოქალაქე ბეშტია თაქარიძეს, დაიწყო კითხვა საშამ. მეე... სი მოწმობა მის შინა, რომ ხსენებული მოქალაქეს ჰყავს თხუთმეტი ცოლი, ამათგან სამი მკვდარი, სამი ჯვარდაწერილი, ექვსი ზაკსით შერთული, ორი თათრულად, ერთიც ისე-ყოველ ფორმალურ კავშირის გარეშე და, საერთოდ. მას არაფერი საწინააღმდეგო არა აქვს მეუღლეთა რიცხვის ორად და სამად გამრავლებისა. შვილები ჰყავს რიცხვით ოცდაათი: საკუთარ ბოსტანში და საკუთარ ბოსტანს გარეშე მოსული. მამა ჰყავს სამი: ღვიძლი, მამინაცვალი და თავისუფლად მოსიარულე, დედა ჰყავს ოთხი: ღვიძლი, დედინაცვალი, მამის მეგობარი და თავისუფლად მოსიარულე. შვილები, დარვინის გამოკვლევით, ცხოველთა სამეფოში სულ ძუძუმწოვართა ჯგუფს ეკუთვნიან.

მამებს სამოცი წელი გადაცილებული აქვთ და სათანადო მოწმობითაც არიან აღჭურვილნი, საიქიოს გასამგზავრებლად. დედების წლოვანება, მათივე განცხადებით, ოცდაათ წელს არ გადასცილებია. ყველა ზემოჩამოთვლილი ხალხი შეგროვილია ერთ პაწია ოთახში და მოქალაქე ბეშტია, შოშიასავით, მათ საზრდოს უზიდავს. რასაც ვამოწმებთ ხელისმოწერით და ამა ქაღალდზედ ტოტორის ბეჭდის დაკაკუნებით.

მელოტთა კავშირის თავჯდომარე
ქაჩალაძე.
მდივანი **ქაფაძე.**

— ძალიან კი ცდილხარ ბეშტი...

— ჰმ! ჰმ... შეაწყვეტინა ბეშტიამ „მე ჯერ-ჯერობით ორმოცდაცამეტი ულუფა მერგება თვეში, მხოლოდ ახლო მომავალში სამოცამდე შემესრულდება: შვიდი ცოლი ორსულადა მყავს.

— ტყუილად გაირჯები ბეშტი. ასი რომ გყავდეს, კანონის ძალით, ხუთზედ მეტს ვერ მიიღებ! მეთოდიურად მოუჭრა საშამ სახტად დარჩენილ ბეშტიას.

— მაშ თუ ეგრეა—ხვალ ოთხზედ მეტს არ დავიტოვებ: სულ გავრეკ-გამოვრეკავ! სთქვა შეფუცხუნებულმა ბეშტიამ.

— თამარა! მიმართა საშამ შავგვრემან მემანქანეს, რომელიც პუდრით სახეს იგანგლავდა.

— დაბეჭდეთ ბეშტიას და გოჩმანს მოწმობები.

— უფ! მე არა მცალიან, გოლუსტოვმა იმდენი ქაღალდები მომაყარა, რომ ხვალამდი ვერ მოვრჩები!“ განაცხადა თამარამ და „უნდერვუდს“ ტკაცა-ტკუცი დააწყებინა.

— მაშ, მერი! თქვენ დაბეჭდეთ. მიმართა საშამ ჭრელ თვალება, ალვის ხესავით მაღალ, ქერა ქალს.

— უფ! მე არ შემიძლია იეხლა... შტაბის უფროსმა ერთი საათით დამითხოვა.

მე, ბეშტია და საშაც სასოწარკვეთილებაში ჩავარდით და თავები ძირს ჩავქინდრეთ.

— გოჩმან, დაიცა! მე ამ საათში დავაბეჭდინებ, წამოხტა ბეშტია და ულვაშების წკეპა დაიწყო.

— საშ! სავარცხელი მათხოვე, თმა გავისწორო.? სთხოვა ბეშტიამ.

— მე, ხომ ჰხედავ, ენსავით თმა

წითელ დროშიანი ლაშქარი.

(ოკას წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვების გამო).

სმენა! სალამი! დაჰკარით მარში!
ააგუგუნეთ ბუკი ლაღ ქარით;
ხედავთ ძველ ქვეყნის ნგრევა, ზანზარში
მოდის, წითელი დროშით, ლაშქარი!..

ძვირფას ძმებ შორის პირველი გმირნი
ახალ ორდენით მზისკენ ილტვიან;
წითელ მახვილით ამაყად მმზირნი
კომუნისათვის დღე-ღამ იღვწიან!

ვაშა! დიდება! მძლე კავალერებს,
ქოხებში აღზრდილ მუშათ და გლეხთა;
გაახარებენ, კვლავ, მრავალ ერებს
შრომისა მცველნი—მტერთ მკემნი მეხთა!

სმენა! სალამი -დაჰკარით მარში!
ააგუგუნეთ ბუკი, ლაღ ქარით;
ხედავთ ძველ ქვეყნის ნგრევა, ზანზარში
მოდის, წითელი დროშით, ლაშქარი!..

სანელი.

არა მაქვს, ბეშტი. მიჰმართე კუპარაძეს, იმას ექნება.

რადგან კუპარაძესაც არა ჰქონდა სავარცხელი და არც ბეშტიას მოტვლეპილ თავზედ არაფერი ჰქონდა გადასავარცხნი, ბეშტიამ ცხვირზედ თითი გაისვა და მამლაყინწასავით მიადგა მემანქანეთა მაგიდას.

— უმშვენიერესნო, თვალ-წარმტაცნო, შეუდარებელნო ბანოვანნო, გთხოვთ, მე ბეშტიასებური და გოჩმანი-გოჩმანისებური თხოვნით, თქვენ! მშვენიერო ელენავ, ეგზოტიურო თამარა და ლერწამ ტანის მერი! მოაპყარით ყურადღება თქვენი გაჭირებასა ბეშტიისასა და გოჩმანისასა და დაგვიბეჭდეთ საბუთნი ესე საჭირონი ჩვენთვის. მუხლ ცრემლიანი, თვალ მოდრეკილი გევედრებით თქვენ."

ბეშტიას ამ გვარმა მიმართვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზედ.

— მოგვეცით ჩქარა, საშა ქალაღდი! ერთხმად შესძახეს მერი, ელენემ, თამარმა... და ასტყდა სამი მანქანის საშინელი ტკაცა-ტკუცი. მე ყურები თითით დავიცე, ბეშტია კი სიამოვნებით ისმენდა ამ საზარელ მუსიკას და გრძნობის ცრემლებს თამარას ქოსით იწმენდა.

გოჩმანი.

ახალი ამბები

მოსკოვში არსებულ დრამატიულ სტუდიაში მსმენელების მისალები გამოცდები.

28 აგვისტოს ხელოვანთა სასახლეში მოხდება მოსკოვის სამხ. თეატრის რეჟისორის ვ. მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით მოსკოვში არსებულ ქართულ დრამატიულ სტუდიაში მისაღებ ახალგაზრდობის გამოცდები.

სამხატვრო-სააგიტაციო ექსპედიცია.

ამ დღეებში საქართველოს პროლეტკულტის სამხატვრო სააგიტაციო ექსპედიცია გაემგზავრება საქართველოს მუშათა რაიონების ჩამოსავლელად სადაც გამართავენ სალამოებს.

სრ. საქართველოს ყოფილ მენშევიკების ყრილობის ბიულეტენი.

სრ. საქართ. ყოფილ მენშევიკების ყრილობის მომწვევი საინიციატივო ბიურო 23 აგვისტოდან გამოსცემს ბიულეტენს ქართულ და რუსულ ენაზე, სადაც მოთავსებული იქნება ანგარიშები ყოფილ მენშევიკების ყრილობებზე საქმის მიმდინარეობის შესახებ და აგრეთვე წერილები ტაქტიკურ და პრინციპიალურ საკითხების შესახებ.

ლტოლვილების გადაყვანისათვის.

საქ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადებით მიმართა ფინანსკომის რწმუნებულს აღძრას შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე, რომ ლტოლვილთა გადასაყვანათ შინაგან კომისარიატის განკარგულებით გადადებულ იქნას 1,500.000000 მან.

სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტში.

საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა წინადადება გასცეს სახ, მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს ორგანოს წინაშე შუამდგომლობა—სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტის მთელი დავალიანების დასაფარავად.

ჩათახის ქარხნის ხარჯთ-აღრიცხვა

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ჩათახის ქარხნის ხარჯთ-აღრიცხვა (ივლისის-აგვისტოს-სექტემბრის თვეებისათვის) 144,333 მან. ჩერვონცების რაოდენობით.

აბრეშუმის პარკი საზღ. გარეთ.

ა. კ. გარეშე ვაჭრობის კომისარიატმა დაადგინა: აბრეშუმის პარკი რომელიც შეძენილი ცეკავშირის მიერ გადაგზავნოს საზღვარ-გარეთის ბაზარზე გასაყიდათ.

ტრაქტორების გამოწერა იტალიიდან.

ა. კ. გარეშე ვაჭრობის კომისარიატმა ამხ. ვეზირიშვილის დაავალა გამოიწეროს იტალიიდან ტრაქტორები საქართველოს სასოფლო მეურნეობისათვის.

ამხ. ერქომაიშვილის სახელობის თევზის სამრეწველო.

საქ. სასურსათო სახ. კომისარიატის გამგეობაში მყოფ აზერბეიჯანის კარანდოლნის თევზის სამრეწველოს მუშა-მოსამსახურეთა დადგენილებით დაერქვა ამხ. ერქომაიშვილის სახელობის თევზის სამრეწველო.

წამლებით დახმარება პროვინციას.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა პროვინციისათვის წამლების დახმარების მიზნით გაიღო 8 მილიარდი მანეთი.

მოხსენება პროლეტარულ კულტურაზე.

სრულიად რუსეთის პროლეტკულტის თავმჯდომარე ამხ. ფ. პლეტნიოვი ამ დღეებში წაიკითხავს მოხსენებას თემაზე:

„პროლეტარული კულტურა და პროლეტკულტი''.

გლეხების გაგზავნა სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე.

გლეხების გასაგზავნად მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, საქ. სახ. კომისართა საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ა. კ. სახ. კომისარიატს საჭირო თანხის გაღების შესახებ.

რევოლუციის მოღვაწეთა და მეცნიერების და ხელოვნების მუშაკთა შესახებ.

საქ. სახ. კომისართა საბჭომ დადგენილების პროექტი რევოლუციის მოღვაწეთა და მეცნიერების და ხელოვნების მუშაკთა შრომის უნარის დაკარგვის დროს უზრუნველყოფის შესახებ, დაუბრუნა სოც. უზრუნველყოფის კომისარიატს ხელახლად დასამუშავებლად.

მუშების წვლილი საჰაერო ფლოტისთვის.

კარდონების დამამზადებელ ქარხნის მუშებმა საერთო კრებაზე დაადგინეს ყოველთვიურად გაიღონ წვლილი საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ.

რაზედ გვწერენ

გულმოდგინე გადამწერი.

უმცროს მეთაურთა შკოლას აქვს თავისი ყოველ კვირეულ კედლის გაზეთი „წითელი წკიბურტი" რომელშიაც მონაწილეობას ღებულობენ უმთავრესად წითელი კურსანტები.

სხვათა შორის მეც ვღებულობდი მონაწილეობას ჯეროვანად დაყენების ამ გაზეთის წერაში. სამწუხაროდ ერთი რამ აფერხებს გაზეთს. გაზეთის გადამწერს ეტყობა, ის სულ თავის ჭკუაზე სწერს. ჩემი წერილიდან მან გადააკეთა სულ სხვა წერილი, საიდანაც მკითხველს არ შეუძლია რომ რაიმე აზრი გამოიტანოს. როდესაც მე დავწერე გაზეთ „წითელი არმიელის" მნიშვნელობაზე, რომ ის არის ჩვენი ერთად ერთი ცოდნის მომცემი წყარო, მან გადააკეთა—გაზეთი არის ჩვენი დროის გამოთობი." მაგალითად დავწერე „არ იცვამს თქო" მან დაწერა არ იცნობსო, ასე წერილები ხშირად დამახინჯებული არიან

საჭიროთ მიმაჩნია ვინმე სხვა უკეთესი გადამწერი მოენახოთ ან თვით ამხანაგმა გამოასწოროს თავისი ასეთი შეცდომები.

პოლიტ-კურსების კურ. გიორგი **სიხარულიძე.**

მეცნიერება და ტეხნიკა

ახალი სამკურნალო საშუალებანი.

(საფარმაცევტო ქიმიის წარმატება დასავლეთში).

უეჭველად, როგორც ომამდის, ისე ამ ჟამადაც ქიმიის განვითარებაში პირველი ადგილი უჭირავს გერმანიას.

გერმანულ ორგანიზატორულმა ნიჭმა სძლია რთულ ქიმიურ მეცნიერებასა და ქიმიურ ტეხნიკას და არაჩვეულებრივ მწვერვალს მიაღწია...

უკანასკნელი მსხვილი გამარჯვება ამ დარგში, რომელიც იძლევა აზოტის სიმჟავეს ჰაერის აზოტიდან, სპირტს და ძმარის სიმჟავეს ნახშირისა და კირისაგან ელექტროს საშუალებით, გოგირდის სიმჟავეს ბუნებრივი გიპსიდან, წარმოადგენს კოლექტიურ სამეცნიერო და ტეხნიკური შემოქმედების საუკეთესო მაგალითებს.

ყოველივე ეს მიღწეულ იქნა არა კერძო პირების, არამედ მთელი ჯგუფების, სწავლულთა და ტეხნიკოსთა შკოლების მიერ, რომლებიც შემოკრებილნი არიან ამა თუ იმ ინსტიტუტის გარშემო.

საფარმაცევტო ქიმია არის განუყრელი ნაწილი საერთო ქიმიისა და გამოჰყოფს მხოლოდ უტილიტარული ხასიათს მის მიმართულებისა: მან უნდა მოგვცეს ნივთიერებანი, რომელთაც ექნებათ სამკურნალო მნიშვნელობა.

ის ნათლად არის დაკავშირებული ბიოლოგიურ მეცნიერებასთან, და გამოჰკრთის მასში როგორც ქიმიის, ისე ბიოლოგიის წარმატება.

უმთავრესი წარმატებები საფარმაცევტო ქიმიისა, მიღწეულია განსაკუთრებით, როგორცა ვსთქვით—გერმანიაში.

ომის შემდეგ პერიოდში ჩვენ ვერ შევხვდებით მსხვილ წარმატებებსა და ახალ გზებს.

მუშაობა მიმდინარეობს ძველ მიმართულებით.

უმჯობესდება მხოლოდ შესწავლისა და წარმოების მეთოდი.

უამრავ ახალ გამოშვებულ პრეპარატებს შორის მრავალი წარმოადგენს ძველ საშუალებათა კომბინაციებს, რომელთაც უკვე საფრთხე მოელის ახალი პრეპარატების მიერ შეცვლის სახით.

ცდამ წამლის ნედლი მასალის გაწმენდისა და მოცემამ იმისა, რაც მასში საჭიროა—მოქმედი საწყისი—შეერთებული წმინდა ქიმიური სახით—ჰპოვა ნათელი გამოხატულება ახალს, ამ ჟამად აღმოჩენილ ნივთიერებაში—ერტოტამინში. პირველად უბრალო ხალხური საშუალება იყო, ბოლოს მიღებულ იქმნა მეცნიერებიდან. ეს არის „Спорныя" (საშოს რქიახები) რომელიც დიდ ხმარებაშია მშობიარობის დროს. ცდები გამოსაკვლევად იმისა, რომლის მეშვეობითაც ეს პრეპარატი მოქმედობს, ამაოდ ჩაიარა, და მხოლოდ ამ ბოლოს შესძლეს გამოყოფა ეს ნივთიერება—ერგოტამინი. ის შედის პრეპარატში ერთი მეოთხედი პროცენტი, მაგრამ ძალა მისი ძლიერ დიდია: ერთი ნაწილი 10.000.000-ზე ე. ი. ერთი გრამი (მისხალის ერთი მეოთხედი) 600 ფუთ წყალში იწვევს საშოს ძალზე [illegible]. ამ გვარადვე მიღებულ იქნა წმინდა სახით [illegible] ლობელლიდან—ნივთიერება ლობელლინი, რომელიც მოქმედებს სპეციალურად სასუნთქავ ცენტრზე, დიდად ძვირფასი გამოდგა იმ შემთხვევაში, როცა სუნთქვა თითქმის სწყდება (მაგალითად ოპერაციების დროს ქლოროფორმით) და [illegible] ელის უეჭველი დაღუპვა.

თანამედროვე მკვლევარი არ კმაყოფილდება იმით, რომ ის გამოჰყოფს ბუნებრივ ნედლი მასალიდან ამა თუ იმ ძვირფას ნივთიერებას. არა, ის ამბობს, რომ რასაც, ბუნება იძლევა—ყველაფერი უმწიკვლო და [illegible] ვერ არის. ა, რისთვის ვხვდებით ჩვენ მრავალ პრეპარატებს შორის ბევრს ისეთს, რომლებიც სდგანან პროდუქტების გაუმჯობესების საფუძვლებზე.

ასეთი გაუმჯობესებული მუშაობა უკანასკნელ დროს მიდიოდა იმ ნივთიერებაზე, რომელიც მეტად წააგავს ქინას, მაგრამ ნაკლები ღირებისაა, ვინემ ეს უკანასკნელი. ეს არის კუპრეინი. აღმოჩნდა, რომ თუ მის შემადგენლობას თან და თან შევცვლით, გავამრავლებთ მოლეკულებს, მისი მოქმედება ცოცხალ ორგანიზმზე იცვლება—ხან გაძლიერდება ერთ მხრით და მეორე მხრით შესუსტდება და პირიქით

ამის გამო შეიძლება ისეთ შემადგენლობამდე მივიყვანოთ, რომ მივიღებთ სწორედ იმას, რაც გვჭირდება. ამ გზით მიღებულ იქნა კუპრეინიდან პრეპარატები: „ოპტოხინი", რომელიც ერთად ერთი საუკეთესო საშუალებაა ფილტვების ანთების დროს; „ფუცინი"—რომელიც ჰკურნავს თვალის გახრწნილ ჭრილობებს და სხვა...

მტკიცედ და მეთოდიური გზით მიდის კაცობრიობა გამარჯვებისაკენ და ანადგურებს თავის უხილავ მტრებს—სხეულებათა წარმომშობ მიკრობებს. სპეციალურ ინსტიტუტების ჭერ ქვეშ, მრავალ გვარ სპეციალობათა მჭიდრო დაკავშირებით, იბადებიან ახალი საშუალებანი, ახალი აღმოჩენანი კაცობრიობის ჯანსაღების დიადი მიზნით.

სამხედრო საქმე

პარტიზანული მოქმედება.

1813 წლის ომი, შემდეგ ჩრდილოეთ ამერიკის ომი და ბურების სახალხო ომი ინგლისელების წინააღმდეგ—იძლევიან მაგალითებს მცირე და დიდ სპების პარტიზანულ მოქმედების შესახებ. მცირე სპის საუკეთესო დამცველი—მისი მოძრაობის უნარია. ამ გვარ სპას საჭმლის საშოვნელად დიდი დრო არა სჭირია. მისთვის ძნელი არაა დასავენებელი ბინის პოვნა და სავანეს გამონახვა თავის შესაფარავად და ამიტომ ამ გვარი სპა თავისუფალია მოძრაობის მიმართულების ამორჩევაში და ნაკლებადაა დამოკიდებული ღამის გასათეველი პუნქტებისაგან. რაც უფრო მოძრაობის უნარი მეტი აქვს სპას, მით უფრო წარმატებით შეასრულებს დანიშნულ მიზანს. მცირე სპა ადვილად იხსნის თავს გაჭირვებისაგან. დაბოლოს—არმია, რომელიც აგზავნის რამოდენიმე ამ გვარ პარტიზანულ სპებს მოწინააღმდეგის ზურგში, ძალიან ცოტა რამეს ჰკარგავს. თუ ამ გვარ მცირე სპას მარცხი დაემართება, ან სრულიად განადგურებული იქნება, ამას ომის მსვლელობაზედ არავითარი მნიშვნელობა არ ექნება.

თუ რა დიდის წარმატებით შეუძლიან იმოქმედოს პარტიზანულ სპას, გვაჩვენებს კოლომბას მოქმედება 1813 წელს. იმან 98 გუსარით, ტყვედ წამოიყვანა რამოდენიმე ასეული კაცი, ხელში ჩაიგდო რამოდენიმე ასეული ცხენი და მრავალი ფურგონი. ერთხელ მან წაართვა მოწინააღმდეგეს 24 ზარბაზანი, 38 სამუხტე ყუთი და სხვა, დაბოლოს იმყოფებოდა რა საკუთარ არმიიდან 18 დღის სავალზედ დაშორებული, საჭიროდ შეიქმნა ეფიქრა ტყვეების თან წაყვანა და ნადავლის თან წაღებაზედ. ნადავლს უმთავრესად უტოვებდა ტიურინგიის გლეხებს, ან კიდევ სპობდა. ტყვეებს კი ჰყრიდა იარაღს და ათავისუფლებდა.

პარტიზანულ მოქმედებისათვის [illegible] მნიშვნელობა აქვს—უფროსის პიროვნებას და მოხერხებულობას, რომელიც შეეფერება ჟამს და თავის დროზედ [illegible] მოწინააღმდეგის შეცდომებზედ.

ამ სხვა და სხვა ხარჯების გასასტუმრებლად პარტიზანულ სპის უფროსს უნდა განკარგულებაში ჰქონდეს საკმაო ფულის თანხა. ადგილობრივ ყოლაუზების (გზების მაჩვენებელი) დაუხმარებლივ ძალიან ძნელია მოქმედება, ყოველ შემთხვევაში, მათი გაშვება, მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა დარწმუნდებიან, რომ ყოლაუზებს სპის გაცემა არ შეეძლებათ.

გ. გ.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1200. სამხედრო სტამბა პასუხის-მგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე.